კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

შპს სოლემარტი

(ს/ნ: 404903119)

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

შპს სოლემარტი
კონსოლიდირებული საქმიანობის შედეგების აგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საქმიანობის შედეგები	**შენიშვნა**	**31/12/2023**	**31/12/2022**
ნეტო ამონაგები		36,737,621	19,575,068
გაყიდვების თვითღირებულება	6	(20,211,682)	(10,550,175)
საერთო მოგება		**16,525,939**	**9,024,893**
დასაქმებულთა ანაზღაურება		(723,915)	(48,173)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(90,574)	0
საპროცენტო შემოსავალი		1,091,148	0
საპროცენტო ხარჯი		(3,962)	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(680,351)	(880,769)
სულ საოპერაციო ხარჯები		(407,654)	(928,942)
საოპერაციო მოგება		**16,118,285**	**8,095,951**
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		(569,380)	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		0	68,035
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		**15,548,905**	**8,163,986**
მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:			
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი მოგება (ზარალი)		15,755,013	8,230,724
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მოგება (ზარალი)		(206,108)	(66,738)
მოგება / (ზარალი)		**15,548,905**	**8,163,986**
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:			
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი		15,755,013	8,230,724
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი		(206,108)	(66,738)
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		**15,548,905**	**8,163,986**
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		14,135,417	4,119,275
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(1,813,704)	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(7,374,240)	1,852,156
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		**20,496,378**	**14,135,417**

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 23 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი: ზურაბ ტუკვაძე (პ/ნ: 01024058793)

ხელმოწერა: _____

შპს სოლემარტი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობა	**შენიშვნა**	**31/12/2023**	**31/12/2022**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	2,900,699	4,622,418
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	28,133,004	2,279,765
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		0	4,488,597
მარაგები	4	1,562,930	2,895,226
სხვა მოკლევადიანი აქტივები		124,700	206,581
ძირითადი საშუალებები	8	9,415,670	6,522,846
სხვა გრძელვადიანი აქტივები		0	360,066
სულ აქტივები		**42,137,003**	**21,375,499**
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		19,665,049	1,919,237
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		0	631,356
საგადასახადო ვალდებულებები		354,975	982,913
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		1,620,601	40,000
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		0	126,300
სხვა ვალდებულებები		0	3,540,276
სულ ვალდებულებები		**21,640,625**	**7,240,082**
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი		2,333,712	71,777
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		16,017,402	12,962,503
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი		18,351,114	13,034,280
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)		2,145,264	1,101,137
სულ საკუთარი კაპიტალი		**20,496,378**	**14,135,417**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**42,137,003**	**21,375,499**

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 23 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი: ზურაბ ტუკვაძე (პ/ნ: 01024058793)

ხელმოწერა: _____

შპს შპს სოლემარტი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „სოლემარტი“ დაფუძნდა 2011 წლის 5 ივლისს როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად. მისი რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, ფანასკერტელის ქ., N 20ა, ბ. 1 კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი: 404903119
2022 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ზურაბ ტუკვაძე (პ/ნ 01024058793)
კომპანია სპეციალიზირებულია სხვადასხვა დარგის ახალი ტექნოლოგიების და აღჭურვილობების იმპოტსა და ინსტალაციაში. კომპანია თანამშრომლობს არაერთ საერთაშორისო, სამთავრობო და კერძო დაწესებულებებთან სამედიცინო, ანალიტიკური, საექსპერტო, კრიმინალისტიკური, სასოფლო-სამეურნეო, ვეტერინარულ და საწარმოო სექტორებში.

კომპანია არის მშობელი საწარმო და ფლობს შვილობილ კომპანიებს და იკონსოლიდირებს 70 პროცენტიანი წილით შპს მეგატესტის და 50 პროცენტიანი წილით შპს საგურამოს მწვანე მამული.

მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

მოცემული კონსოლდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს-ები) შესაბამისად.

- აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.
- ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდია კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2. მომზადების საფუძველი

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს-ები) შესაბამისად.

3. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა ჯგუფის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა. ხელმძღვანელობამ მიმოიხილა როგორ ბაზრის და ბიზნესის რისკი. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე ჯგუფს არ აქვს მოლოდინი ისეთი მნიშვნელოვანი რისკების, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯგუფის ფუნქციონირებადობაზე,

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ჯგუფი გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში

შვილობილი კომპანია არის პირი რომელზეც მშობელ კომპანიას გააჩნია კონტროლი. კონტროლი მიიღწევა, როდესაც ინვესტორი მონაწილეობს ან აქვს უფლებები ინვესტირების ობიექტში ჩართულობიდან მისაღებ უკუგებაზე და უნარი. გამოიყენოს ინვესტირების ობიექტზე ფლობილი ძალაუფლება უკუგებაზე ზემოქმედების მიზნით.

წინამდებარე კონსოლიდირეულ ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციები შვილობილ საწარმოში აღრიცხულია თვითღირებულებით, იმ შენატანით რაც განხორციელებულია შვილობილი საწარმოს კაპიტალში.

შვილობილი საწარმოდან მიღებული დივიდენდები მოგებაში ან ზარალში აღირიცხება, როდესაც დივიდენდის მიღების უფლება დადგენილია.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჩამოთვლილ შვილობილ კომპანიებს:

		31.12.2023		
დასახელება	***საქმიანობა***	***ფლობილი ინვესტიცია***	***რეგისტრაციის ქვეყანა***	***რეგისტრაციის თარიღი***
შპს მეგატესტი	*ლაბორატორიული*	*70%*	*საქართველო*	*02.08.2022*
შპს საგურამოს მწვანე მამული	*მომსახურებები მიწების შესყიდვა*	*50%*	*საქართველო*	*22.07.2022*

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს „სოლემარტი"-ს და მისი შვილობილი საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებებს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:
- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის

ჯგუფი ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

როდესაც ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:
- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციული ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

იმ შემთხვევაში თუ შვილობილი საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა განსხვავდება მფლობელი კომპანიის სააღრიცხვო

პოლიტიკისგან, ხდება შვილობილი საწარმოს ფინანსური ანგარიშგების კორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის პოლიტიკასთან. ჯგუფის კომპონენტებს შორის არსებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ყველა შიდა ჯგუფური მოთხოვნა, ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას სრულად ელიმინირებას.

უცხოური ვალუტის ოპერაციები

ჯგუფის საოპერაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოური ვალუტით მიღებული არა მონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ჯგუფმა გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2023
ლარი/1 აშშ დოლარი	2.7020	2.6894
ლარი/1 ევრო	2.8844	2.9753

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც ჯგუფმა გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ისინი ძირითადად მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევის შედეგად წარმოიქმნება. ანგარიშგებაში არსებული მოთხოვნები ძირითადად მოიცავს კონსიგნაციის პირობით რეალიზებულ საქონელზე წარმოქმნილ მოთხოვნებს. ისინი აღირიცხება მიმდინარე აქტივებში, გარდა იმ შემთხვევისა თუ გადახდა გადავადებულია საანგარიშო თარიღის შემდეგ 12 თვეზე მეტი ვადით.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე, გადეფოლტება ან ვადაგადაცილება) იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე და ჯგუფი ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების სრულად მიღებას.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულების ან წმინდა სარეალიზაციო ღირებულებიდან უმცირესით. მარაგების ღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს მარაგების შეძენისა და მიმდინარე ადგილას გადატანისა და არსებულ მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მარაგების საპროგნოზო გასაყიდ ფასს, რომელსაც გამოკლებული აქვს მათი დასრულებისათვის საჭირო გაყიდვის ხარჯები.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან

შპს შპს სოლემარტი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)
საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.
წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის წმინდა დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით. შესაბამისად, ჯგუფი ყველა საგადასახადო კრედიტორულ ვალდებულებებთან ან დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებულ აქტივებს და ვალდებულებებს წარადგენს თითოეული საწარმოს მიხედვით, წმინდა საფუძველზე.

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები გარდა მიწის და შენობა-ნაგებობის მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნადებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს მათი გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას არ ერიცხება ცვეთა და ამორტიზაცია. სხვა დანარჩენი ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში ღირებულებაზე მათი განაწილებით:

- შენობა- ნაგებობა 40 წელი
- მანქანა-დანადგარები 5 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები 5 წელი
- ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი 5 წელი

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი ჯგუფი ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ ჯგუფი მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს ჯგუფის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება მშობელი კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები ჯგუფის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ მშობელი კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი ჯგუფის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა მშობელ კომპანიაზე მფლობელების მიერ.

ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა მშობელი კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო მშობელი კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული მშობელი კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

სესხები

სასესხო ვალდებულებები მოიცავს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ ვალდებულებებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში. ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული სესხები კლასიფიცირებულია ვადიანობის მიხედვით.

საანგარიშო პერიოდში გაცემული სესხები მოიცავს გაცემულ სესხებს და შესაბამის დარიცხულ პროცენტებს, რომელიც შემცირებულია რეზერვებით. სასესხო ხელშეკრულების პირობების თანახმად მიმდინარე პერიოდში დაფარულია მხოლოდ საპროცენტო ვალდებულება და არ არის დაფარული სესხის ძირი.

ამონაგები

ამონაგები აღიარება.
ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე. ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, დაბრუნების და დღგ-ს გარეშე.

ჯგუფის გაყიდვების გარკვეული ნაწილი შეიძლება განორციელდეს ან საავანსო გადახდის ან პროდუქციაზე კონტროლის გადაცემის მომენტში ანგარიშსწორების პირობით. იშვიათ შემთხვევებში, ანგარიშსწორება შეიძლება გადავადდეს, თუმცა გადავადება არასოდეს სცილდება 12 თვეს, შესაბამისად, ყელა მოთხოვნა ანგარიშგებაში წარდგენილია მიმდინარე მოთხოვნად. სავაჭრო მოთხოვნა აღიარდება მაშინ, როდესაც პროდუქცია მიწოდებულია და ეს დროის ის მომენტია, როდესაც ანაზღაურება უპირობოა, და მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო გადახდის მომენტის დადგომამდე.

ხარჯები

თვითღირებულების ხარჯები

პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს რეალიზებული საქონლის ღირებულებისა და მის წარმოებაზე გაწეული დანახარჯებისაგან. პერიოდის თვითღირებულების ხარჯად ჩამოწერილია იმ მარაგების შესაბამისი ღირებულება, რომლის რეალიზაციაც განხორციელდა საანგარიშო პერიოდში.

მიწოდების ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. რეალიზაციის და დისტრიბუციის ხარჯები მოიცავს სარეალიზაციო საქონლის ქსელში დარიგებასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებს, როგორიცაა რეკლამის, ტრანსპორტირების, გაყიდვების სამსახურის ხელფასის ხარჯი, დაზღვევის ხარჯი და სხვა.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს საიჯარო ხარჯებს, საოფისე ხარჯებს, კომუნიკაციის და კომუნალურ ხარჯებს, ასევე ხარჯებში გაერთიანებულია საწვავის ხარჯები და უიმედო მოთხოვნები რომელიც ჩამოიწერა მიმდინარე წელს.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება ჯგუფის თანამშრომლების მიერ.

ხელფასის ხარჯი მოიცავს, როგორც ფიქსირებულ ასევე გამომუშავებულ ანაზღაურებას რომლის კალკულაციაც ხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს.

4. მარაგები

მარაგები	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
საქონელი	1,249,451	2,704,540
ნედლეული და მასალები	313,479	190,686
სულ	**1,562,930**	**2,895,226**

5. ფული და ფულის ეკვივალენტები:

ფული და ფულის ეკვივივალენტები	31-დეკე-2022	31-დეკე-2022
სხვა	1,300	3,365,360
ფული საბანკო ანგარიშებზე	2,898,437	1,257,057
სულ	**2,900,699**	**4,622,418**

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	31-დეკე-2023	31-დეკ-2022
სხვა	(265,208)	-
ნედლეული და მასალები	(19,946,474)	(10,550,175)
სულ	**(20,211,682)**	**(10,550,175)**

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვენები

სავაჭრო და სხვა მთხვონები	31-დეკე-2023	31-დეკ-2022
სავაჭრო მთხოვნა	6,393,557	2,279,765
სხვა მოთხოვნა ბანკების მიმართ	21,739,322	-
სულ	**28,132,879**	**2,279,765**

7. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები სასამართლო დავები

8. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	მიწის ნაკვეთები	შენობა - ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალება	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	მანქანა დანადგარები	ფართები ავტოსადგომი	სხვა	სულ
ბალანსი 01/01/2023	**761,374**	**1,493,631**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**2,045,632**	**4,300,637**
შემოსვლა	3,882,889	-	422,350	154,995	2,734,273	56,819	100,000		7,351,325
გასვლა	-	-	(25,000)	-	-	-	-	(2,045,632)	(2,070,632)
ბალანსი 31/12/2023	**4,644,263**	**1,493,631**	**397,350**	**154,995**	**2,734,273**	**56,819**	**100,000**	**-**	**9,581,331**
ცვეთა									
ბალანსი 01/01/2023	**-**	**75,086**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**75,086**
ცვეთა	-	26,021	874	974	238	6,624	-	55,842	**90,574**
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	**-**
ბალანსი 31/12/2023	**-**	**101,107**	**874**	**974**	**238**	**6,624**	**-**	**55,842**	**165,660**
საბალანსო ღირებულება 31/12/2023	**4,644,263**	**1,392,524**	**396,475**	**154,021**	**2,734,035**	**50,195**	**100,000**	**-**	**9,415,671**

9. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში ჯგუფის მიმართ არსებული წაყენებული არსებითი პრეტენზიები და სასამართლო დავები იდენტიფიცირებული არ არის. საკუთარი შეფასებისა და როგორც შიდა ასე გარე კონსულტაციების საფუძველზე ხელმძღვანელობის აზრია, რომ არანაირი საფუძველი შესაძლო სასამართლო პროცესის დაწყების, რომელიც გავლენას იქონიებს წარდგენილ ანგარიშგებაზე იდენტიფიცირებული არ არის.

10. გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

11. ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ პერიოდში ჯგუფში არ არის განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებები და ოპერაციები, რომელიც შესაძლოა საჭიროებდეს ფინანსურ ანგარიშგებაში დაამატებთ წარდგენას.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 23 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი: ზურაბ ტუკვაძე (პ/ნ: 01024058793)

ხელმოწერა: _____

Zurab Tukvadze 01024058793

Digitally signed by Zurab Tukvadze
Date: 2025.10.16 18:30:56